



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



მეაბრეშუმეობის ინტეგრაციის  
ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი  
რეაბილიტაცია-აღორძინების  
რეკომენდაციები



თბილისი  
2016



საქართველოს სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის  
მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



მეაბრეშუმეობის ინტეგრაციის  
ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი  
რეაბილიტაცია-ალორქინების  
რეკომენდაციები

გამომცემლობა "აგრო"  
თბილისი - 2016

ინტეგრაცია ფართო ცნებაა და იგი სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებლივი ფორმის საწარმოთა შერწყმას გულისხმობს. ამასთან მეაბრეშუმეობის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი ინტეგრაცია ხელსაყრელი უნდა იყოს როგორც ნედლეულის მწარმოებელი, ასევე სააბრეშუმო მრეწველობისა და პროდუქციის გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის.

### *რეკომენდაციის ავტორები:*

- გიორგი ნიკოლეიშვილი - სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- გივი ჯაფარიძე - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- თამაზ კუნჭულია - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ელგუჯა შაფაქიძე - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ვანო სანადირაძე – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი.

### *რედაქტორი:*

- ომარ ქეშელაშვილი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## სარჩევნი

შესავალი . . . . .	4
1. საგრენაუო ქარხნებისა და ნედლეულის მწარმოებელთა ინტეგრაცია, წარმოება, ხარ- ჯები, მოგება და განაწილება . . . . .	9
2. ძაფსახვევ-საგრესი ქარხნებისა და აბრეშუ- მის პარკის მწარმოებელთა ინტეგრაცია, პრო- დუქციის წარმოება, ხარჯები, მოგება და განა- წილება . . . . .	13



## შესავალი

საქართველოში, მებარეშუმეობის რეაბილიტაცია—აღორძინების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეიქმნას ტერიტორიული ინტეგრირებული საწარმოები (*საკარმიდამო მებარეშუმეობა + საგრენაუო ქარხანა + ძაფის რეგიონული ამოხვევა*), რითაც მოხდება მებარეშუმეების ეკონომიკური ინტერესების მიბმა გრენის, ხამი ძაფის და ქსოვილის (სხვა პროდუქციის) რეალიზაციიდან მიღებული მოგების გადანაწილებაზე. ამით შეიქმნება პარკის მწარმოებელი ფერმერული, კოოპერაციული და აბრეშუმის მრეწველობის საწარმოთა ინტეგრირება ორივე მხარისათვის მისაღები პირობებით. ბუნებრივია, ასეთი გაერთიანების მართვა მეტად თავისებურია და ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგებს უნდა ემყარებოდეს.

მებარეშუმეობაში, ინტეგრაციის პროცესი მეტად რთულია და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ მებარეშუმეობაში წარმოებისა და მართვის პრინციპების დაცვა, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა და

ინტენსიფიკაციის თავისებურება განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომას მოითხოვს.

საქართველოს მეაბრეშუმეობაში ვერტიკალური ინტეგრაციის პრაქტიკული განხორციელება 1895 წელს დაიწყო “მეაბრეშუმეობის პირველ ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში”, რომელსაც ნესტორ წერეთელი ხელმძღვანელობდა. იგი არა მარტო პარკის მოყვანა-რეალიზაციით იყო დაკავებული, არამედ ჰქონდა საამქრო, სადაც ხდებოდა პარკის ამოხვევა, ქსოვა და კუსტარული ნაწარმის დამზადება, რაც უაღრესად პროგრესული იყო.

მეაბრეშუმეებთან ანგარიშსწორება ხდებოდა საბოლოო პროდუქციის (პარკის ღირებულება + ჰაერმშრალი პარკის რეალიზაცია და სხვა შემოსავლები) მიხედვით, რაც პირველი იყო რუსეთის იმპერიაში. კოოპერატივმა 1896 წლის წმინდა მოგებიდან (3 428 მან) 10% გამოყო სათადარიგო თანხად, 10% - მოძრავ თანხად, ხოლო დანარჩენი თანხიდან “თითოეულ წევრს დივიდენდის სახით დაურიგდა 3,0 მანეთი”. იგი თავისი შინაარსით, ვერტიკალური ინტეგრაციის მორგებულ ფორმას წარმოადგენდა და ყველა მონაწილის მოწონებით სარგებლობდა.

ჩვენ ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგებით დავრწმუნდით, რომ აღნიშნული კოოპერატივის სამოქმედო პრინციპს თუ დახვეწავთ და მივუსადაგებთ ქვეყნის ადათ-წესებსა და კონკრეტულ პირობებს, უფრო მისაღები იქნება, ვიდრე უცხოურის (მოდად ქცეულის) "გადმოქართულება".

საქართველოში მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის ინტეგრაციის აუცილებლობა ყოველთვის იდგა ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებით წინა პლანზე წამოიწია 1974 წელს მეაბრეშუმეთა პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე, როდესაც პირდაპირი დავალება მიიღეს მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, თუმცა პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ამასთან, მსუბუქი მრეწველობა ყოველთვის წინააღმდეგი იყო ნედლეულის მწარმოებელ ორგანიზაციებთან ინტეგრაციის პრობლემების მოგვარების. აღნიშნულ პრობლემას 1984 წელს მეაბრეშუმეთა მეორე რესპუბლიკურ შეკრებაზე (დასავლეთ საქართველო, ხონი) მიუბრუნდნენ და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს როგორც მსუბუქი მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სამინისტროები და

სხვა უწყებები, მაგრამ საქმე ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა ტარდებოდა (საქართველოს მეაბრეშუმეობის საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებაში - დირექტორი, ბატონი გივი ყიფიანი), მაგრამ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით ძაფსახვევ – საგრესი ქარხნები პრაქტიკულად განადგურდა და მუშაობის გაგრძელება ვეღარ მოხერხდა.

აღნიშნულ პრობლემაზე, კიდევ ერთხელ იყო მსჯელობა შესაბამისი სამინისტროების მიერ 1994 წელს, მაგრამ პრობლემა კიდევ უფრო დამძიმდა. აღნიშნული პრობლემით დაინტერესება 120 წლიანი (1895–2015) ინტერვალის შემდეგ მოხერხდა და ჩვენს ნააზრევს წარუდგენთ დარგის მესვეურთ.

განადგურებული დარგის რეაბილიტაცია–აღორძინების პირველ ეტაპზე უმჯობესია ინტეგრაცია განხორციელდეს ნედლეულის (ცოცხალი პარკი) მწარმოებელი და საგრენაჟო და ძაფსახვევ–საგრესი საწარმოებს შორის, ხოლო შემდგომ პერიოდში საქმიანობა სრული ციკლით იქნება შესაძლებელი.

მეაბრეშუმეობის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ რაც უფრო დიდია კონკურენცია, მით უფრო აუცილებელი ხდება ვიწრო სპეციალიზებული მსხვილი საწარმოების – პარკის წარმოება და რეალიზაციის, ერთიანობაში მოყვანა-ინტეგრაცია. ვანის რაიონის მაგალითზე წარმოდგენილია ცოცხალი საჯიშე პარკის მწარმოებლების – მეაბრეშუმეების და საგრენაუო ქარხნის ინტეგრაციის საბოლოო შედეგები.

წინამდებარე რეკომენდაციაში, წარმოდგენილია აგრეთვე სამრეწველო ცოცხალი პარკის მწარმოებელთა და ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკების ინტეგრაციის ამსახველი მასალები.



# 1. საბრენაჟო წარმოებასა და ნედლეულის მწარმოებელთა ინტეგრაცია, წარმოება, ხარჯები, მოგება და განაწილება.

თუთის დაავადება "ფოთლის სისუჭუჭის" ფართოდ გავრცელებამდე ვანის საგრენაჟო ქარხანა ამზადებდა 14,0-15,0 ათას კოლოფ (ერთი კოლოფი=27გრ) ხარისხოვან გრენას.<sup>1</sup> ამასთან, 1,0 კგ გრენის თვითღირებულება 350-400 მანეთის ფარგლებში მერყეობდა და ქარხანაც თითქმის ყოველთვის რენტაბელურად მუშაობდა.

გრენის თვითღირებულებაში მაღალი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი ნედლეულის (საჯიშე პარკი) და საექსპლუატაციო ხარჯები. დამუშავებული პრობლემის შედეგები წარმოდგენილია 10 კგ გრენის მაგალითზე, რაც უფრო ხელმისაწვდომია დაინტერესებული მკითხველისათვის.

საგრენაჟო ქარხნებისა და მეაბრეშუმეების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მიღებული მოგება უნდა განაწილდეს წილობრივად:

- ა. მეაბრეშუმეებზე, კოოპერატივებზე და სხვა მეაბრეშუმეებზე, რომლებმაც სა-

---

<sup>1</sup> სადღეისოდ 1 კგ (37 კოლოფი) იმპორტირებული გრენის ფაჩი მერყეობს 800-1000 დოლარის ფარგლებში, რაც ძალიან მაღალი მასშტაბებელია.

ჯიშე პარკი მიჰყიდეს საგრენაუო ქარხანას,

- ბ. საგრენაუო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებმაც იშრომეს და აწარმოეს ჰიბრიდული გრენა.

მაგალითად: 10 კგ ჰიბრიდული გრენის დამზადებაზე სულ დაიხარჯა 7350 მანეთი. მათ შორის:

- ა. მეაბრეშუმეთა მიერ ქარხნისათვის ჩაბარებული 150 კგ საჯიშე პარკის ღირებულება შეადგენდა 2 250 მანეთს;

- ბ. 150 კგ პარკის დამუშავება ყველა სახის დანახარჯებით (საექსპლუატაციო ხარჯები, მუდმივი ფიქსირებული ხარჯები), შეადგენდა 5 100 მანეთს;

შემოსავალი: 10 კგ გრენის ღირებულება შეადგენდა 8000 მანეთს, ხოლო დამუშავებული გრენის შემდეგ დარჩენილი *პერსე პარკის* ღირებულება შეადგენდა 248 მანეთს<sup>2</sup>; ამრიგად სულ მიღებული შემოსავალი (8000+248 მან) შეადგენს 8 248 მანეთს.

მოგება შეადგენს  $(8248-7350) = 898$  მანეთს.

---

<sup>2</sup> შენიშვნა: უკანასკნელ ოცწლეულში საგრენაუო ქარხნები პრაქტიკულად განადგურებულია. ამიტომ მაგალითისათვის ესარგებლობთ ძველი მასალებით. ჩვენი გათვლებით სამომავლოდაც ტექნიკური პროგრესის ფონზეც კი, კანონზომიერება ღიდად არ შეიცვლება.

ჩვენი გაანგარიშებით საერთო მოგება – 898,0 მანეთი უნდა განაწილდეს წილობრივად–ნედლეულის მწარმოებელთა და ქარხანას შორის შემდეგნაირად:

ა. გრენის წარმოებისათვის საერთო ხარჯების 30,7%,

ხოლო ქარხნის ხარჯებისათვის – 69,3%;

შედგე:

1. საერთო მოგება 898,0 მანეთი განაწილდება ზემოაღნიშნული %-ბის მიხედვით:

ა. ფერმერები (კოოპერატივები) დივიდენდის

სახით მიიღებენ 898 მანეთის 30,7%-ს ანუ 275,0 მანეთს, ხოლო

ბ. ქარხანა 898 მანეთის 69,3 %-ს ანუ 624,0

მანეთს.

ანუ:

1. მეაბრეშუმეები ყოველ კგ ჩაბარებული

პარკის საფასურზე ზევით, დივიდენდის

სახით (გრენის რეალიზაციის შემდეგ)

(275 მანეთი : 150კგ-ზე = 1,82 მანეთს)

მიიღებენ 1,82 მანეთს,

2. ქარხანა ერთ კგ გრენაზე გაანგარიშებით (624 მანეთი გაყოფილი 10კგ-ზე =

62,4 მანეთს) 62,4 მანეთს. სულ ქარხნის

მასშტაბით, იგი 10 კგ გრენის წარ-  
მოება—რეალიზაციის ჩათვლით მიიღებს  
საერთო მოგებას 898,0 მანეთს, ხოლო 1,0  
კგ-ზე გაანგარიშებით (898 : 10) 89,8  
მანეთს.

აღნიშნული წესით ანაზღაურების შემ-  
თხვევაში თანაბრად იქნებიან დაინტერესე-  
ბულები როგორც მეაბრეშუმეები, ისე ქარ-  
ხნის მუშაკები, რაც სახელმწიფოებრივი  
საქმეა.



2. საქართველოს ძაფსახვევ-საგრეხი  
ქარხნებისა და აბრეშუმის პარკის  
მწარმოებელთა ინტეგრაცია,  
პროდუქციის წარმოება, ხარჯები,  
მოგება და ბანაწილება

პრობლემა დამუშავებულია ძაფსახვევ-საგრეხი ქარხნების ადრინდელი სამეურნეო საქმიანობისა და 1998–2000 წლების საგეგმო მაჩვენებლების<sup>3</sup> ანალიზის საფუძველზე. ამასთან დადასტურდა, რომ ადრინდელი სამეურნეო საქმიანობისა და საგეგმო მასალების ანალიზის შედეგები თითქმის ერთნაირი კანონზომიერებით ხასიათდება და რეკომენდაციებში მხოლოდ საგეგმო მასალების ანალიზის შედეგებს წარმოვადგენთ. ამრიგად:

1. 1998 წელს ძაფსახვევ-საგრეხი ქარხნები შეისყიდინენ 472,0 ტონა ცოცხალ პარკს, რაც (472 000 : 1,70) 175 ტონა ჰაერმშრალი პარკის ტოლფასია, რომლის ღირებულება შეადგენდა 618,6 ათას ლარს;

---

<sup>3</sup> მასალები აღებულია 90-იანი წლების ფაქტიური მონაცემებისა და 1998–2000 წლების საგეგმო მონაცემების შეჯერების მიხედვით.

2. პარკის პირველადი დამუშავების პუნქტებიდან შესყიდული ყოველი 1,0 კგ პარკის შენახვა-დაბინავების ხარჯები (ამოხვევის დაწყებამდე) შეადგენდა 0,626 ლარს, ხოლო სულ შეადგენს  $(175,0 \text{ ათასი კგ} \times 0,626 \text{ ლარი})$  109,6 ათას ლარს;

3. 175,0 ათასი ჰაერმშრალი პარკის ამოხვევის შედეგად მიიღება (175 000კგ ჰაერმშრალი პარკი : 3,5 კოეფიციენტზე) 50 ტონა ხამი ძაფი, რომლის ხარჯები შეადგენს  $(50 000 \text{ კგ ხამი ძაფი} \times 12,3362)$  616,8 ათას ლარს;

4. სულ დანახარჯები შეადგენს  $(618,6+109,6+616,8) = 1345,0$  ათას ლარს;

5. აღნიშნულ ხარჯებს უნდა დაემატოს სხვადასხვა გადასახადები (25%), რაც შეადგენს  $(1345,0 \text{ ათასი ლარის } 25\%=336,25 \text{ ათას ლარი})$  336,25 ათას ლარს;

6. სულ ყველა სახის ხარჯები და გადასახადები  $(1+2+3+4+5)$  შეადგენს 1 681,25 ათას ლარს, ხოლო 1,0 კგ ხამი ძაფის ამოხვევის ხარჯები შეადგენს 12,336 ლარს.

აღნიშნული მონაცემების ანალიზიდან დასტურდება, რომ ნედლეულის მწარმოებლები (ფერმერები, კოოპერატივები და სხვა) საერთო ხარჯებიდან (1681,25 ათასი ლარი)

იღებენ 36 % (618,6 ათას ლარს), ხოლო ძაფსახვევ-საგრეხი ქარხანა კი - 64,0%; ეს იმას ნიშნავს, რომ ინტეგრირებული კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად თუ იქნება *საერთო წარმატება ანუ მოგება*, ისინი საორიენტაციოდ მიიღებენ:

*- ნედლეულის მწარმოებელი საორიენტაციოდ მიიღებს მოგების 36%, ხოლო ქარხანა - 64,0%. ამით დაინტერესდება ინტეგრირების ყველა მონაწილე.*

ვფიქრობთ მოგების განაწილების ასეთი წესი ხელს შეუწყობს როგორც ინტეგრირების მონაწილეთა ინტერესებს, ისე დარგის აღმავლობის საქმეს.

აღნიშნული პრობლემა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც ანალოგიური წესით განისაზღვრება და სუფსიდირების საკითხიც სხვა კუთხით დაისმება, რაც ძალიან აქტუალურია.



## შენიშვნებისათვის

---

---

---

✓



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია

---

ACADEMY OF AGRICULTURAL  
SCIENCE OF GEORGIA

[www.gaas.dsl.ge](http://www.gaas.dsl.ge)

E-mail: [acad.as@gaas.dsl.ge](mailto:acad.as@gaas.dsl.ge)

Tel/Fax: (+995 32) 294 13 21